**საქართველო**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**უმაღლესი საბჭოს წევრი**

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

**ბატონ გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, წარმოვადგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავთ თხოვნით წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

გთხოვთ, რეგლამენტის პროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და პლენარულ სხდომებზე მომხსენებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე.

09-01-08/84
04.12.19
6

დანართი: -5- ფურცელი

პატივისცემით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები:

1. დავით გაბაიძე / _____
სახელი, გვარი ხელმოწერა

2. ეკატერინე ფარიანიძე / _____
სახელი, გვარი ხელმოწერა

3. ნუგზარ ყულბანიძე / _____
სახელი, გვარი ხელმოწერა

4. ---------- / ----------

სახელი, გვარი ხელმოწერა

5. ---------- / ----------

სახელი, გვარი ხელმოწერა

6. ---------- / ----------

სახელი, გვარი ხელმოწერა

7. ---------- / ----------

სახელი, გვარი ხელმოწერა

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს**
**რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.04.2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016040) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი საბჭოს ადგილსამყოფელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ბათუმი, ხოლო იურიდიული მისამართია - ლუკა ასათიანის ქუჩა №37. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით, უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით, უმაღლესი საბჭოს პლენარული (რიგგარეშე) სხდომის (სესიის) გამართვა შესაძლებელია ამ პუნქტში აღნიშნული ადგილსამყოფელის - იურიდიული მისამართის გარეთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტში.“.

**მუხლი 2.** ეს რეგლამენტი ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2019 წლის
№

# განმარტებითი ბარათი
# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი;

2017 წელს საქართველოში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების შესაბამისად, საქართველო მმართველობის ფორმის მიხედვით გახდა სრულად საპარლამენტო რესპუბლიკა. აღნიშნული რეფორმის პარარელურად საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს ახალი კონსტიტუციური კანონი, რომელმაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის სრული გადასინჯვის საფუძველი შექმნა.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განსაკუთრებული როლი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში განმტკიცებული იქნა უმაღლესი საბჭოს ახალი რეგლამენტით, რომლითაც მისი, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს როლი და ფუნქციათა არსენალი საკმაოდ მრავალი კომპონენტით იქნა გაზრდილი.

უმაღლესი საბჭოს ახალი რეგლამენტით საკანონმდებლო დონეზე განმტკიცებული იქნა მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების ისეთი მნიშვნელოვანი მექანიზმები, როგორიცაა მაგალითად:

- მინისტრის საათი;
- ინტერპელაცია;
- უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა;
- კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირების სავალდებულო დასწრება;
- დროებითი კომისია;
- აჭარის ა.რ. მთავრობის საქმიანობის ანგარიშის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მოსმენა;
- ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი.

ყოველივე ზემოაღნიშნული საჭიროებს უმაღლესი საბჭოს მხრიდან აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ყოველდღიურ კომუნიკაციას, რისთვისაც მნიშვნელოვანია უმაღლესი საბჭოს ადგილსამყოფელის საკითხი.

უმაღლესი საბჭოს ადგილსამყოფელის შეცვლამ და მისი ბათუმიდან ჩაქვში გადმოტანამ უკვე აჩვენა თავისი უარყოფითი შედეგები, საიდანაც უპირველესი უმაღლესი საბჭოს, როგორც ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოს მოსახლეობასთან დაშორებაა. აღნიშნულზე მეტყველებს უმაღლესი საბჭოს ბოლოს წლების მოქალაქეთა კორესპონდენციებისა და მოქალაქეთა მიღების სტატისტიკაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ აუცილებლობას წარმოადგენს რეგიონის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ადგილმდებარეობის ცვლილება და მისი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ცენტრში - ქალაქ ბათუმში დაბრუნება.

ქალაქ ბათუმში უმაღლესი საბჭოს გადასვლას საკმაოდ დიდი მხარდაჭერა აქვს საზოგადოების მხრიდანაც, რაც დაადასტურა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ სოციალური ქსელით ჩატარებულმა გამოკითხვამ, სადაც გამოკითხვაში მონაწილეთა 74 პროცენტი მხარს უჭერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბათუმში გადასვლას.

**ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი;**

პროექტის მიზანია, ერთის მხრივ უმაღლესი საბჭოს, როგორც რეგიონის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მაქსიმალური ხელმისაწვდომობა მოქალაქეებისათვის, ხოლო მეორეს მხრივ უმაღლესი საბჭოს, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობაზე მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციების ეფექტური განხორციელება.

**ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი;**

პროექტის პირველი მუხლის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტში შედის ცვლილება და უმაღლესი საბჭოს ადგილსამყოფელად განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ბათუმი, ხოლო იურიდიულ მისამართად - ლუკა ასათიანის ქუჩა №37.

პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, რეგლამენტის ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის 1 იანვარი.

**ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;**

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

**ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;**

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;**

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;**

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება;**

რეგლამენტის პროექტის მიღება დადებით ფინანსურ შედეგს იქონიებს, როგორც რიგითი მოქალაქეებისათვის, ასევე უმაღლესი საბჭოს ცალკეული წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისათვის.

**გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში;**

უმაღლესი საბჭოს ადგილმდებარეობის ცვლილებასთან დაკავშირებით კონსულტაციები მიმდინარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან. უმაღლესი საბჭოს ქალაქ ბათუმში დაბრუნებას მხარს უჭერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, რომელმაც აღნიშნული პოზიცია ოფიციალურად დაადასტურა 2019 წლის 19 ივნისს უმაღლეს საბჭოში მთავრობის ანგარიშის წარდგენის დროს.

**გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ;**

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე, მერაბ კარანაძე, ნუგზარ სურმანიძე, ილია ვერძაძე, დავით ბაციკაძე, დავით თედორაძე, ვახტანგ წულაძე.

**ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე, მერაბ კარანაძე, ნუგზარ სურმანიძე, ილია ვერძაძე, დავით ბაციკაძე, დავით თედორაძე, ვახტანგ წულაძე.

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტით შედის ცვლილება

**მუხლი 3. უმაღლესი საბჭოს ადგილსამყოფელი**

1. უმაღლესი საბჭოს ადგილსამყოფელია ქობულეთის მუნიციპალიტეტი – დაბა ჩაქვი. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით, უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით, უმაღლესი საბჭოს პლენარული (რიგგარეშე) სხდომის (სესიის) გამართვა შესაძლებელია ამ პუნქტში აღნიშნული ადგილსამყოფლის გარეთ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტში.

2. უმაღლესი საბჭოს საქმიანობის საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, რეგლამენტით დადგენილი წესით უმაღლესი საბჭო ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის ხელმისაწვდომობის მიზნით, უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს ადმინისტრაციული შენობის შესაბამისი საჭიროებებით აღჭურვას.

4. უმაღლესი საბჭოს წევრებისა და თანამდებობის პირების კაბინეტებში, პლენარულ სხდომათა დარბაზში, ბიუროს სხდომათა ოთახში საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით და დაცვით, მოთავსებულია საქართველოს სახელმწიფო დროშა და საქართველოს სახელმწიფო გერბი, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი.